2025 წელი

ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული სამუშაოს წლიური ანგარიში

ავტორიზებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება **სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე. 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცდა სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანება. შესაბამისად, **სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს.

კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

კოლეჯის ხედვაა 2025 წლისათვის იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და მიმართულებების შესაბამისად, დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

<u>მიზნების მისაღწევად</u> კოლეჯის საქმიანობის საგანია განახორციელოს: პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, ტრენინგ-კურსები და პროგრამები არაფორმალური განათლების ფარგლებში, ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/ დაწესებულებებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით. კოლეჯი, დასახული მიზნების მისაღწევად, ასევე ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N44
www.profgldani.ge
profgldaniedu@gmail.com
ტელ: + 995 32 2140314, + 995 32 2140315

პროფესიული პროგრამები და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსები

კოლეჯს 2018 წლიდან, 6 წლის ვადით, მინიჭებული აქვს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია - ინჟინერია, ხელოვნება, ბიზნესის ადმინისტრირება და სხვა. ამ დროისათვის ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს მე-3-4-5 საფეხურის/დონის შემდეგი პროგრამები:

№	*პროგრამის დასახელება*	*კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით*						
		I	II	III	IV	V	სწავლის ვადა (თვე)	შენიშვნა
1.	ბუღალტრული აღრიცხვა	–	–	–	–	99	17	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი)
2.	ინფორმაციის ტექნოლოგია	–	–	61	–	–	11	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3,5 თვე, 15 კრედიტი)
3.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	–	–	–	90/148	–	18/30	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
4.	საფინანსო სერვისები	–	–	52	–	–	10	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3,5 თვე, 15 კრედიტი)

5.	სამკერვალო წარმოება	–	–	100	-	–	19	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3,5 თვე, 15 კრედიტი)
6.	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	–	–	–	90/143	–	18/30	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (6.5 თვე, 30 კრედიტი) (ინტეგრირებული მიდგომით 7 თვე, 30 კრედიტი))
7.	გრაფიკული დიზაინის შესრულება	–	–	–	90/143	–	17/30.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
8.	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	–	–	–	83	–	15.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი)
9.	ვებტექნოლოგიები	–	–	–	64/114	–	12.5/29	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (7 თვე, 30 კრედიტი) (მ.შ. ინტეგრირებული მიდგომით)
10.	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	–	–	59	–	–	11	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3 თვე, 15 კრედიტი)
11.	მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	–	–	58	–	–	11	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3 თვე, 15 კრედიტი)
12.	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	–	–	82	–	–	14.5	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (3.5 თვე, 15 კრედიტი)

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები:

- „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“;
- „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა“;
- „სალარო ოპერაციების განხორციელება“;
- „ხიდურა ამწის ოპერირება“;
- „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“;
- „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“.

კოლეჯში ასევე ისწავლება **სასერტიფიკატო მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები /ტრენინგ-კურსები**: სოციალური მედიის მართვა; კომპიუტერული გრაფიკა (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება); მეწარმეობა (მცირე ბიზნესის მწარმოებელი); მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი; ტანსაცმლის დიზაინი და კერვა; გერმანული ენა; ინგლისური ენა; სალარო ოპერაციების განხორციელება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით და სხვა.

არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალური და სხვა) შეფასება

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან/ინსტრუქტორებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. კადრები სისტემატურად გადამზადდებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ადაპტირების კუთხით. ცენტრი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ინფრასტრუქტურა მთლიანად ადაპტირებულია ინკლუზიური განათლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით და ყველანაირ საშუალებას იძლევა, რომ შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა ხარისხიანი სწავლება მიიღონ. კოლეჯში ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სამედიცინო ოთახი.

პროფესიებიდან გამომდინარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროების კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები პროგრამებისა და ცალკეული მოდულების ადაპტირების შემუშავების, განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესში, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილების შეტანისას.

ვთანამშრომლობთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან და მათთან ერთად ვახორციელებთ მაქსიმალურად გააზრებულ დაგეგმვას, რომ შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების, მათ შორის შშმ და სსსმ სტუდენტების, წარმატებული ინტეგრაცია უზრუნველვყოთ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ვავრცელებთ ინფორმაციას სხვადასხვა კომპანიაში გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ, აგრეთვე ინდივიდუალურად ვუწევთ რეკომენდაციას კურსდამთავრებულებს კონკრეტულ პოზიციებზე დასაქმების მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯში ჩარიცხული სსსმ და/ან შშმ სტუდენტების რაოდენობა და მათი საჭიროებები

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რომ სსსმ/შშმ პირები გახდნენ მეტად ინტეგრირებულები საზოგადოებაში, შეიძინონ პროფესია და დასაქმდნენ. კოლეჯი აქტიურად არის ჩართული სსსმ და/ან შშმ პირთა მიერ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

2025 წელს კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 10 არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პრაქტიკული მოსინჯვის გზით, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სსსმ აპლიკანტების რაოდენობა განისაზღვრა საგაზაფხულო მიღებისას - **29** ადგილით, საშემოდგომო მიღებაზე - **19** ადგილით. საგაზაფხულო მიღების პერიოდში, დარეგისტრირებულთა შორის, სპეციალური საჭიროება მითითებული ჰქონდა **16** აპლიკანტს, ხოლო საშემოდგომო მიღებაზე – **25** აპლიკანტს. თითოეულ მათგანს მიეწოდა ინფორმაცია არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ. აპლიკანტები დეტალურად გაეცნენ შესაბამისი დასაქმების სფეროებს, რომ თავად მიეღოთ გადაწყვეტილება და აერჩიათ სასურველი პროფესია საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2025 წლის საგაზაფხულო მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იქნა **5 სსსმ პროფესიული სტუდენტი.** ისინი გადანაწილდნენ შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „ინფორმაციის ტექნოლოგია“ - 2;
- „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ - 1
- „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ - 1;
- „საფინანსო სერვისები“ - 1.

2025 წლის საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯში პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ იქნა **9 სსსმ პროფესიული სტუდენტი, გამონაკლისის სახით, 2025წლის საგაზაფხულო მიღებაზე რეგისტრირებულმა არაქართულენოვანმა სტუდენტმა, სწავლა განაგრძო ქართული ენის A2- დონის გავლის შემდეგ, პროფესიულ პროგრამაზე.** ეს სტუდენტები გადანაწილდნენ შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „ინფორმაციის ტექნოლოგია“ - 2;
- „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ - 4;
- „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ - 2;
- „საფინანსო სერვისები“ - 1;
- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრული სისტემების შეკეთება“ – 1.

2025 წელს ჩარიცხული - **5 სსსმ** და 2023 წელს ჩარიცხული - **1 სსსმ პროფესიული სტუდენტის** საჭიროებიდან გამომდინარე და ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯმა უზრუნველყო ტრანსპორტირება.

2025 წელს ჩარიცხული - **11 სსსმ** და 2023 წელს ჩარიცხული - **2 სსსმ პროფესიული სტუდენტის** საჭიროებიდან გამომდინარე და ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების გუნდის რეკომენდაციის საფუძველზე, კოლეჯმა უზრუნველყო ინდივიდუალური/პერსონალური ასისტენტების მხარდაჭერა.

2025 წელს მიღებულ სსსმ პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, კოლეჯში სწავლას აგრძელებს 2023 წელს ჩარიცხული **3 სსსმ** პროფესიული სტუდენტი შემდეგ პროგრამებზე:

- „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ინტეგრირებული) - 1;
- „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ - 1;
- „კომპიუტერულიო ქსელი და სისტემები“ - 1.

2025 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 5 **სსსმ პროფესიულ სტუდენტს** შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: „საფინანსო სერვისები“ - 3, „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ - 1, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ - 1.

2025 წლის 19 სექტემბერს პროგრამის ვერდაძლევის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა **2 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“.

2025 წლის 7 ოქტომბერს პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსი შეუწყდა **1 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრული სისტემების შეკეთება“.

2025 წლის 7 ნოემბერს პროგრამის ვერდაძლევის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა **1 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.

2025 წლის 19 ნოემბერს პროგრამის ვერდაძლევის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა **2 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ ; „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“.

2026 წლის 9 იანვარს პროგრამის ვერდაძლევის საფუძველზე სტატუსი შეუწყდა **1 სსსმ პროფესიულ სტუდენტს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“.

ამჟამად, კოლეჯში ირიცხება და სწავლას აგრძელებს **17 სსსმ პროფესიული სტუდენტი**, შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- „ინფორმაციული ტექნოლოგია“ (მე-3 დონე) - 4;
- „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ინტეგრირებული, მე-4 დონე) - 1;
- „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ინტეგრირებული, მე-4 დონე) - 1;
- „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება “ (მე-4 დონე) - 1;
- „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ (მე-3 დონე) - 3;
- „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ (მე-3 დონე) - 4;
- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ (მე-3 დონე) - 1;
- „საფინანსო სერვისები“ (მე-3 დონე) – 2.

კოლეჯში სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის შექმნილია ყველა პირობა, რომ მათ ხარისხიანი პროფესიული განათლება მიიღონ. ზემოხსენებული სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის გავლისა და დასაქმების კუთხით, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლეჯი ახორციელებს წინასწარ მოკვლევას იმის შესახებ, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი სსსმ პირის/ების მიღებასა და მისთვის შესაფერისი გარემოთი უზრუნველყოფას.

სსსმ სტუდენტთათვის სასწავლო პროცესისას გაწეული მხარდაჭერა

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნებიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე

სტუდენტები, რომელთა სწავლების ხანგრძლივობა აღემატება ერთ ან ორ კალენდარულ წელს, 2015 წლიდან სამინისტროსთან შეთანხმებით კოლეჯში დასაქმებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტები და სსსმ პირის ინდივიდუალური ასისტენტი/გამცილებელი.

სსსმ პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, რეგულარულად ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მონიტორინგი, სწავლების მიმდინარეობის ანალიზი და შედეგებზე დაფუძნებით ეფექტური სწავლების სტრატეგიების შერჩევა, მათი დანერგვის ხელშეწყობა. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პროფესიული სტუდენტების შესაძლებლობების გათვალისწინებით, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ასევე ხდება შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირება და/ან აკომოდაცია.

ამასთანავე, რეგულარულად ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები სსსმ პროფესიულ სტუდენტთა მშობლებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროფესიული ინკლუზიური განათლების არსისა და პრინციპების შესახებ, განიხილება სტუდენტთა საგანმანათლებლო საჭიროებები და ინდივიდუალური თავისებურებები, ლექციებზე დასწრებისა და სასწავლო მოტივაციის ამაღლების გზები, აგრეთვე დაუდასტურებელი მოდულების დაძლევის საკითხები. საჭიროების შემთხვევაში, მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან აქტიურად მიმდინარეობს სატელეფონო კომუნიკაცია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა სტუდენტთა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების, სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებებისა და სასწავლო შედეგების შესახებ.

ინკლუზიური განათლების ფარგლებში განხორციელებული ზოგიერთი აქტივობა

- **2025 წლის 20 სექტემბერი** - გაიმართა შეხვედრა კოლეჯის ადმინისტრაციის ორგანიზებით,სადაც განხილული იყო კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების შესაძლებლობები.
- **2025 წლის 23 სექტემბერი** - კოლეჯმა უმასპინძლა კომპანია Greenway-ის დასაქმების ფორუმს.
- **2025 წლის 23 სექტემბერი** - კოლეჯის პროფესიული სტუდენტები დაესწრნენ კარიერის დაგეგმვის ტრენინგს, სადაც განხილული იყო თუ როგორ უნდა დაგეგმონ სტუდენტებმა წარმატებული პროფესიული გზა და გამოიყენონ შესაძლებლობები.
- **2025 წლის 10-13 ოქტომბერი** - კოლეჯის ინკლუზიური გუნდისა და პროფესიული უნარების სააგენტოს ეგიდით, ჩატარდა 10 საათიანი ტრენინგი, თემებზე: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსი,მისი შექმნისა და შედგენის მართებული გზები,ადაპტაციის მნიშვნელობა და მათი სახეები.
- **2025 წლის 17 ოქტომბერი** - კოლეჯს ესტუმრნენ უნგრეთის პროფესიული განათლების ცენტრის-Kaposvar Vocational Training Centre-ის წარმომადგენლები, რომლებიც დეტალურად გაეცნენ სასწავლებლის ინფრასტრუქტურასა და სასწავლო პროცესს.
- **2025 წლის 24 ოქტომბერი** - კოლეჯმა უმასპინძლა საინფორმაციო შეხვედრას, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ტრეფიკინგთან ბრძოლის წინააღმდეგ.
- **2025 წლის 5 ნოემბერი** - კოლეჯში "გამომცემლობა პალიტრა L"-თან თანამშრომლობით წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.
- **2025 წლის 11 ნოემბერი** - კოლეჯმა უმასპინძლა საჯარო ლექციას თემაზე "ფინანსისტის სახელმძღვანელო". ტრენინგს უძღვებოდა ბუღალტერთა კავშირის პრეზიდენტი ტატა ბერიძე. ლექციის მიზანი იყო ეკონომიკის მიმართულებით ახალგაზრდების პრაქტიკული ფინანსური ცოდნის გაღრმავება.
- **2025 წლის 27 ნოემბერი** - კოლეჯმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის უფლებათა სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელობით საინფორმაციო შეხვედრას უმასპინძლა. სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია სახალხო დამცველის მანდატზე, აპარატის საქმიანობასა და ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად მიმართულებებზე.
- **2025 წლის 28 ნოემბერი** - კოლეჯში სახელწმიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დახმარების ფორმებზე. საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.
- **2025 წლის 3 დეკემბერი** - „საქართველოს ჯანმრთელობის ფედერაციის" ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის გავრცელების, პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესახებ.
- **2025 წლის 18 დეკემბერი** - კოლეჯმა ასოციაცია „შენი მომავლის" მიერ ორგანიებულ საახალწლო საქველმოქმედო გამოფენას უმასპინძლა.

სასწავლო და სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებები/შედეგები და სირთულეები/გამოწვევები

კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს ინკლუზიური განათლების განვითარებას, რომლის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების (სსსმ) სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი ადაპტირებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, კოლეჯი უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას პროფესიულ განათლებაზე ყველა მსურველისთვის.

გარდა ამისა, კოლეჯში სისტემატურად ტარდება შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებთან პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილე პირები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შშმ პირები, ხშირად ავლენენ ინტერესს კოლეჯში წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების მიმართ, იღებენ დეტალურ ინფორმაციას არსებულ სპეციალობებზე და სტუმრობენ კოლეჯს პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის პრაქტიკული მიმდინარეობის გასაცნობად.